ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-01200351668**
თარიღი: **04/02/2020**
პინი: **5038**

ადრესატი: შპს დემარკ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205196759
მისამართი: თბილისი, ძევერის ქ. 20

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

შპს „დემარკ"-ის დირექტორს
ბატონ ვლადიმერ აბრამიშვილს

ბატონო ვლადიმერ,

თქვენი მ/წლის 13 იანვრის განცხადებით (მერიაში რეგისტრაციის №10/01200131204-16; 13.01.2020წ.) წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სამსახურის მიერ შეთანხმებულია.

ამასთან გაცნობებთ, რომ სამუშაოს დასრულების შემდეგ, 30 კალენდარული დღის ვადაში დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დანართი: 3 ფურცელი.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

MIA 7 20 00320041

06/02/2020

შპს "დემარკი"-ს წარმომადგენელს ვ. აბრამიშვილს
ქ. თბილისი ძევერას ქუჩა N 20;
თქვენს 2020 წლის 5 თებერვლის განცხადებაზე

ასლი: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის
მოადგილეს ბ–ნ ლაშა ჯოხაძეს

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისი ა. სობჩაკის ქუჩა ს/კ 01.15.04.020.004-ის მიმდებარედ სამშენებლო დამცავი ღობის განთავსების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის თანხმობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს NQN1728569 შუალედურ გადაწყვეტილებას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის N4835557 შუალედურ გადაწყვეტილებას, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს წარმოდგენილ დროებითი მოძრაობის ორგანიზაციის სქემებს და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ ზემოაღნიშნული სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს (თანხმობის გაცემიდან ექვსი თვის განმავლობაში) ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- სამშენებლო დამცავი ღობე შეიღებოს შავ-თეთრი ან წითელ-თეთრი ზოლებით;
- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით წარმოდგენილი სქემის შესაბამისად;
- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე ფეხით მოსიარულეთა ბილიკი მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში, დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი და გზის მიერთების ადგილები აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად;

- სამუშაოების დაწყების და დამთავრების შესახებ წინასწარ ეცნობოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (ტელ: 241-85-04; 241-85-05);

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: 9 ფურცლად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით

ორგანიზაციის
ექნიკური საშუალებები

1.21.2-1ც

1.21.3- 1ც

1.26 -8ც

2.5-1ც

2.6 -1ც

3.10 - 6ც

3.20 - 3ც

20 — 3.24 - 3ც

40 — 3.24 -5ც

4.2.1 -1ც

4.2.2 -1ც

5.19.1 - 10ც

5.19.2 - 10ც

40m — 8.1.1 - 1ც

55m — 8.1.1 - 1ც

25m — 8.2.1 - 1ც

50m — 8.2.1 - 2ც

შუქ. ტ7-5ც

ქვეითთა მოძრაობა

ღობურა

„შეთანხმებულია“

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ტრანსპორტის საქალაქო
სამსახურის უფროსი
ვ.წილოსანი

თარიღი 04/12/2020

„შეთანხმებულია“

ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე
ლ. ჯოხაძე

თარიღი __/__/____



ქ. თბილისი ა. სობჩაკის ქუჩის (ს.კ 01.15.04.020.004; AR1702942) მიმდებარედ ფასადის რეაბილიტაციის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა.			STS SMART TRANSPORTATIO SOLUTIONS ტელ: 577 155575	
შემსრულებელი	შ.პ.ს "STS"	ნახაზის დასახელება	თარიღი	2020 წელი
დამკვეთი	შ.პ.ს "დემარკ"-ი	საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა	მასშტაბი	პირობითი

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 4810336

გაცემის თარიღი: 30/12/2019 გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR1702942
შემოსვლის თარიღი: 13/09/2019
შედეგი: **შუალედური**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.004
- მისამართი: ქალაქი თბილისი, ხაზინას ქუჩა, N3/რევაზ თაბუკაშვილის ქუჩა N5
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 2216.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "კასს ჰოტელს" (402003318)

ნომენკლატურა :

- **სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)**
- **II კლასი**
- **ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები**
- **მშენებლობის ნებართვა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- მისამართი: თბილისი ძევერას ქ. N 20

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: სს „კასს ჰოტელს“-ი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 402003318
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ჰანოხ ჰეინრიხ კასი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 0-1554171-7, საქართველოს მოქალაქე

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ვლადიმერ აბრამიშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. .კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი -> .ძეგლის არქიტექტურული პროექტის pdf ფაილი: -წარმოადგინეთ სრულყოფილი არსებული შენობის ნახაზები. (წარმოდგენილ გენგეგმას არ შეესაბამება მოცემული გეგმები, არ არის გაკეთებული შესაბამისი განმარტებები).

-ჭრილები მოიყვანეთ გეგმებთან შესაბამისობაში (კარის ნაწილში).

2. .მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით. -> .მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით pdf ფაილი.: წარმოდგენილ დოკუმენტაციაში საუბარია სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარების შესახებ, შესაბამისად გაცნობებთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის შესაბამისად, ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშოები: ა) დაზვერვა; ბ) გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ) რესტავრაცია; ე) რეკონსტრუქცია; ვ) ადაპტაცია. შესაბამისად, საპროექტო დოკუმენტაციაში "დემონტაჟი"–ს სამუშაოები არ უნდა იყოს ნახსენები; ამასთანავე განგიმარტავთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა". ამავე კანონის მე–3 მუხლის თანახმად: "ძეგლის რეკონსტრუქცია– დეტალურ სამეცნიერო კვლევებზე და ზუსტ ანაზომებზე დაყრდნობით, ახალი ან ძველი მასალით ან მათი კომბინაციის გამოყენებით, მთლიანად ან ნაწილობრივ დანგრეული ან დაშლილი ძეგლის ან მისი ფრაგმენტის პირვანდელი სახით ხელახლა აშენება"

3. სამშენებლო გენგეგმის მიხედვით ვინაიდან ხდება დროებითი ნაგებობების საკადასტრო საზღვრის გარეთ განთავსება, საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა.

გაითვალისწინეთ, თუ აღნიშნული დოკუმენტი კვლავ არ იქნება წარმოდგენილი, განცხადება დარჩება განუხილველი განმეორებით ხარვეზის დადგენის გარეშე.

სამსახური დაუბრუნდება საკითხის განხილვას სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ. თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების

გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



დემარკი
არქიტექტურული კომპანია
www.dmark.ge

პროექტის დასახელება
არსებული პროექტის რეკონსტრუქცია მრავალფუნქციურ შენობად

პროექტის მისამართი
ქ.თბილისი ხაზინის ქ. №3/რეპაზ თაბუკაშვილის ქ. №5

დამკვეთი
შპს „კასს ჰოტელს"

სა	2020.01.14	სტადია პროექტი
სტადია	თარიღი	განმარტება
გამოცემა		

დაკვეთის №	19018
შესრულა	გგ
შეამოწმა	ვა
საავტორო უფლებები	დემარკი

ნახაზის დასახელება
სამშენებლო ღობის მოწყობის სქემა

A3


ქოლგა
დროებითი სამშენებლო ღობე 2 მეტრი სიმაღლის (ოსბ ფილა)
23.8 მ
ქვეითთა სავალი ბილიკი 1 მეტრი სიგანის


დროებითი სამშენებლო
ღობე 2 მეტრი
სიმაღლის
(ოსბ ფილა)
18.8 მ
11.0 მ